

შპს „სამოთხე“ 2014

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია მცირე და საშუალო საწარმოების
ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის)
შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობა	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	111,258	45,112	24,197
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	12,574	5,631	11,561
გადახდილი ავანსი		0	0
სულ	<u>123,832</u>	<u>50,743</u>	<u>35,758</u>
	-	-	
- გასაყიდად განკუთვნილი პროდუქცია	359,038	271,767	175,297
- სხვა შიდამოხმარების საქონელი	826	724	215
	<u>359,864</u>	<u>272,491</u>	<u>175,512</u>
სულ მოკლევადიანი აქტივები	-	-	
	-	-	
სხვა არამატერიალური აქტივები	2,005	2,359	2,775
ძირითადი საშუალებები	112,887	96,339	60,414
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>114,892</u>	<u>98,698</u>	<u>63,189</u>
სულ აქტივები	<u>597,968</u>	<u>421,932</u>	<u>274,459</u>

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	149,720	118,628	80,930
საგადასახადო ვალდებულებები	10,882	9,279	3,580
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები	<u>160,602</u>	<u>127,907</u>	<u>84,510</u>
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი	10,000	10,000	10,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	427,896	284,025	179,949
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>437,896</u>	<u>294,025</u>	<u>189,949</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>597,968</u>	<u>421,932</u>	<u>274,459</u>

	2023	2022
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	5,307,022	4,231,461
საქონლის გაყიდვა	5,271,888	4,203,981
სხვა შემოსავლები	35,134	27,480
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,460,774)	(3,586,383)
საწყისი მარაგები	(0)	(0)
მარაგების შესყიდვა	(0)	(0)
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	846,248	645,078
დასაქმებულთა ანაზღაურება	(177,204)	(113,161)
ცვეთა და ამორტიზაცია	(24,066)	(19,137)
იჯარის ხარჯი	(0)	(0)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(113,401)	(86,723)
სულ საოპერაციო ხარჯები	(314,671)	(219,021)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	531,577	426,057
მოგების გადასახადი	(58,142)	(48,297)
მოგება/(ზარალი)	473,435	377,760
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	294,025	189,949
დივიდენდის განაწილება მესაკუთრეებზე	(329,474)	(273,684)
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	437,986	294,025

საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადები	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	66,146	20,915
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	0	0
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	45,112	24,197
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	111,258	45,112

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
31.12.2022	10,000	284,025	294,025
საწესდებოკაპიტალი (ზრდა / კლება)	0	0	0
პერიოდისმოგება / ზარალი	0	473,435	473,435
გაცემულიდივიდენდი	0	(329,474)	(329,474)
31.12.2023	10,000	427,986	437,986

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამოთხე 2014“ („კომპანია“) დაფუძნებულია საქართველოში - კერძოდ აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში. კომპანიას აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა - საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით. კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმო. კომპანია საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საკუთარ ფაქტიურ(იურიდიულ)მისამართზე. კომპანია ღებულობს პროდუქციას საბითუმო მომწოდებლებისაგან და აწვდის მათ საცალო მომხმარებლებს. კომპანია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში.

შპს „სამოთხე 2014“ დაფუძნდა 2014 წლის 27 მარტს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის გიორგი ქარცივაძე, რომელიც, ამავდროულად, არის კომპანიის მოქმედი დირექტორიც.

2. მომზადების საფუძელი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში, რომელიც არის კომპანიის, როგორც წარსადგენი, ასევე სამუშაო ვალუტაც.

კომპანიას ამ ანგარიშგების გარდა წარდგენილი აქვს 2018, 2019, 2020, 2021 და 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკა

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და თანმიმდევრულ გამოყენებას.

კომპანიას არ აქვს რთული ოპერაციები, მისი საქმიანობა შემოიფარგლება საქონლის შესყიდვითა და საბოლოო მომხმარებელზე მიწოდებით. რეალიზაცია ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით, ესე იგი შემოსავალი აღიარდება რეალიზაციის მომენტში.

კომპანიას აქვს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საქონლის ღირებულებას ანგარიშობს საშუალო შეწონილი მეთოდით. კომპანიის პროგრამაში აღირიცხება საქონლის ბრუნვა, როგორც საქონლის მიღებისას, ასევე, რეალიზაციის დროსაც.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ხსენებული გადაწყვეტილების მისაღებად გათავლისწინებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე და სამომავლო გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, მომგებიანობა და ა.შ

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

**საანგარიშგებო პერიოდის
ხარჯები**

		ღირებულება
7,210	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	4,460,775
7,410	შრომის ანაზღაურება	177,204
9,210	მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი)	58,142
7,420	საიჯარო ქირა	0
7,447	კომუნალური	48,055
7,455	ძირითადი საშუალებების ცვეთა	24,066
7,465	ქონების გადასახადი	1,484
7,470	საბანკო ხარჯი	35,359
8,285	საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0
7,130	სოციალური დანარიცხები	8,817
7,490	სხვა შიდა მოხმარების საქონლის ხარჯი	19,686
	ჯამი	4,833,589

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები - ძირითადად მაღფუჭებადია, აქედან გამომდინარე მათი შეძენა ხდება გაყიდვების მოცულობიდან გამომდინარე. კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები არის ხშირად ბრუნვადი, პერიოდის ბოლოს არ რჩება დაზიანებული და ვადაგასული მარაგები, შესაბამისად, კომპანიას არ აქვს ანარიცხები მარაგებთან დაკავშირებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ხელფასებს და დანამატებს(პრემიებს). გასამრჯელოს დარიცხვა და გაცემა ხდება კომპანიის თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის პერიოდში, რომელიც მოიცავს კალენდარულ თვეს. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული ვალდებულება, შესაბამისად არ აქვს ანარიცხები მოცემულ განყოფილებაში.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. კომპანიას არ აქვს ფინანსური იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული.

**საანგარიშგებო პერიოდის
შემოსავლები****თანხა**

შემოსავალი რეალიზაციიდან	5,271,888
სხვა საოპერაციო შემოსავლები	
მარკეტინგული	31,760
უსასყიდლო მოწოდება	2,500
შემოსავალი იჯარიდან	874.06
ჯამი	5,307,022

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეული ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები;

- შენობა ნაგებობები 5%
- კომპიუტერული და სხვა საოფისე აღჭურვილობა 20%
- არამატერიალური აქტივი 15%

	ელექტრონული მოწყობილობები	კომპიუტერული მოწყობილობები	არამატერიალური აქტივი	თბოელექტრონული მოწყობილობა (დიზელგენერატორი)	სხვა
თვითღირებულება					
1 იანვარი 2022 წ.	57,008	10,034	2,774	147	29,148
შემოსვლა 2023 წ.	38,059	2,203	0.00	0.00	0.00
გასვლა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
31 დეკემბერი 2023 წ.	95,067	12,237	2,774	147	29,148
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
წლიური ცვეთა	15,498	2,355	354	30	5,828
გაუფასურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
31 დეკემბერი 2023 წ.	15,498	2,355	354	30	5,828
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023 წ.	79,570	9,881	2,005	117	23,319

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივების ღირებულება მცირეა, შესაბამისად კომპანია არ ახორციელებს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალის/მოგების გადაფასებას(ტესტირებას), არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე.

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს - საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლებების ცვლილება) მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

მოგების გადასახადი

ახალი საკანონმდებლო ცვლილებისმიხედვით საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები მოგების გადასახადს აღარ იხდიან ყოველწლიურად. მოგების გადასახადის დეკლარირებისა და გადახდის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ხდება მოგების გატანა ან გამოყენება არაკომერციული მიზნით. კომპანიას კაპიტალიდან გატანილი აქვს 260,000 ლარის ოდენობის გაუნაწილებელი მოგება დივიდენდის ფორმით, რის საფუძველზეც კომპანიას მოუწია 48,297 ლარის ოდენობის მიმდინარე მოგების გადასახადის გადახდა, დივიდენდის გატანის თვეების მიხედვით.

ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს

	2023	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში 31 დეკემბერი	6,142	32,888	12,947
ფული საბანკო ანგარიშებზე 31 დეკემბერი	105,116	12,225	11,250
	111,258	45,113	24,197

მოთხოვნები / ავანსი	თანხა
მოთხოვნა ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე	15
მოთხოვნა იჯარის საფასურზე	280
მოთხოვნა მარკეტინგული მომსახურების	8.029
გადახდილი ავანსები	4,249
ჯამი	12,573

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადი გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს საცალო მომხარებლებზე (ფიზიკურ პირებზე), რომლებიც იხდიან ნაღდ ან უნაღდო ფულს შესყიდვის დროს, შედეგად კომპანიას არ აქვს და არ ჰქონია სავაჭრო მოთხოვნა დაარსებიდან.

კონტრაგენტი	თანხა
პროდუქციის მომწოდებლებზე	145,171
კომუნალური დავალიანება	4,549
140,1	149,720

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიას კონტრაგენტებთან აქვს ვალდებულებები, თუმცა ღირებულება მცირეა და გადახდის ვადა არ აღემატება 2 თვეს, შესაბამისად ჯდება მოკლევადიანი ვალდებულებების კატეგორიაში. კომპანიის ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 149,720 ლარს.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება.

ანგარიშგება შედგება 12 გვერდისგან. ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

გ. ქარცივაძე

გიორგი ქარცივაძე

ბუღალტერი:

ნ. საითაძე

ნუკრი საითაძე

